● ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). შეერთებული შტატები უნდა წავიდეს ვიეტნამიდან — ასეთია ვიეტნამის ომის დამთავრების ერთადერთი გზა, განაცხადა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ინდოელთის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს საპატიო პრეზიდენტმა კრიშნა მენონმა. იგი კანადიდან გზად მიმავალი ნიუ-იორკში ჩამოსდა და გუშინ ესაუბრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს.

ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

● ᲐᲗᲔᲜᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). გუშინ პალესტინის „ფათჰის“ ორგანიზაციის პარტიზანებმა შვიდი წარმატებული ოპერაცია განახორციელეს იორდანიის ოკუპირებული ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში განლაგებული ისრაელის ჯარების წინააღმდეგ. ეს განაცხადა პალესტინის სარდლობის სამხედრო წარმომადგენელმა.

პარტიზანებმა მოხპეს ისრაელთა სამი სამხედრო პატრული, დაანგრიეს სამი საოთალთვალო პუნქტი, აეფეთქეს ავტომანქანა.

ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲔᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲗᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘ

● ᲙᲐᲘᲠᲝ, 10 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენები მეორედ დაესხნენ თავს ისრაელის ჯარების პოზიციებს სუეცის არხის აღმოსავლეთ სანაპირ ოზე მის ჩრდილოეთ სექტორში.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, დავალების შესრულების შემდეგ ეგვიპტის ყველა თვითმფრინავი მშვიდობიანად დაბრუნდა ბაზებში.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲙᲚᲐᲭᲠᲘᲗᲘ“ ᲙᲘᲕᲔᲣᲜᲔᲑᲘ

● ᲙᲐᲘᲠᲝ, 9 თებერვალი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოსახლეობამ 88 მილიონს მიაღწია.

ეს ნათქვამია გაზეთ „ალ-ახრამში“ გამოქვეყნებულ მობილიზაციისა და სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ოფიციალურ ცნობაში. ამ ცნობის თანახმად, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მოსახლეობა საშუალოდ 2.54 პროცენტით მატულობს წელიწადში და უკანასკნელი 15 თვის განმავლობაში გაიზარდა 1 მილიონით.

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔ-8 ᲒᲐᲖᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1970 Წ.

ᲚᲔᲘᲠᲓᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 9 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი შელვინ ლეირდი წავიდა სამხრეთ ვიეტნამში ერთი კვირის ხანმოკლე ოფიციალური მოგზაურობაში, ოფიციალური ვერსიის თანახმად, მოგზაურობის მიზანია „ხალმარი ვერთარების შეფასება ვიეტნამში“.

მ. ლეირდის ვიზიტი იწყება მაშინ, როდ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატს საგარეო საქმეთა კომისიაში განიხილავენ მთავრობის საგიეტნამო პოლიტიკას, რომლის დროსაც „ომის გეიტნამიზაციის“ პროგრამას არა თუ აკრიტიკებენ, არამედ ეჭიქვეშ აყენებენ როგორც ვიეტნამის ჭაობიდან გამოსვლის მეთოდს. თეთრი სახლი იუწყება, რომ გააცილა რა ლეირდი სამოგზაუროდ, პრეზიდენტმა ნიქსონმა მისცა მითითება „რაც შეიძლება ფართოდ „შეისწავლოს, თუ როგორ სრულდება „ვიეტნამიზაციის“ პროგრამა.

ᲠᲝᲯᲔᲠᲡᲘᲡ ᲕᲝᲘᲐᲟᲘ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲠᲐᲑᲐᲗᲘ, 9 თებერვალი. (საკდესი). მაროკოში ხანმოკლე ვიზიტით მყოფი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უილიამ როჯერსი შეხვდა მაროკოს მეფე ჰასან მეორეს.

მაროკოში ვიზიტით როჯერსმა დაიწყო თავისი მოგზაურობა აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების დედაქალაქებში, რომელიც ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების სულ უფრო მზარდ ინტერესს აფრიკის ქვეყნებისადმი.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ობზერვერი“ სასტიკად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში.

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲬᲠᲔᲡ

ᲫᲕᲚᲘᲡᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). ისრაელისთვის განკუთვნილი სამხედრო მოწყობილობის ახალი ტვირთი დაკავეს შვეიცარიის ხელისუფლებმა 6 თებერვალს ციურიხის აეროპორტში.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, რაც შვეიცარიაში მოხდა უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში. როგორც იუწყებოდნენ, მომდინარე წლის 24 იანვარს ჟენევის საბაჟო კონფისკაცია უყო ამერიკული წარმოების „ფანტომის“ ტიპის ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენთა სათადარიგო ნაწილები 70 ყუთს, რომლებსაც უკანონოდ გადაჰქონდათ ისრაელის ავიაკომპანია „ელ-ალის“ თვითმფრინავით.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲗ ᲯᲝᲚᲝᲜᲔᲗᲨᲘ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 9 თებერვალი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის პრეზიდიუმის მოწვევით ვარშავაში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების პრეზიდიუმის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარე დ. განესი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ

ᲛᲝᲣᲗᲛᲝᲕᲔᲜ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დანაშაულებრივი ომის გამო პროტესტის მასობრივი აქციები, რაც შეერთებულ შტატებში მოწყო გასული წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, კიდევ უფრო ფართო მასშტაბით განმეორდება მომდინარე წელს. ეს განაცხადეს გუშინ პრეს-კონფერენციაზე ვიეტნამის ომის შეწყვეტისათვის ახალი მობილიზაციის მომწყობი კომიტეტის ხელმძღვანელებმა. „ინტერსაომარ გამოსვლათა მიზანია, — თქვა კომიტეტის თანათავმჯდომარემ პროფესორმა დ. დაუდმა, — მივაღწიოთ ბინძური ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტას“.

გამოცხადებულია მომავალ ანტისაომარ გამოსვლათა პროგრამა. 14-დან 21 თებერვლამდე კომიტეტის ასზე მეტი ადგილობრივი განყოფილება მთელ სახელმწიფოში გამართავს მასობრივ საპროტესტო მიტინგებსა და დემონსტრაციებს იმის წინააღმდეგ, რომ მთავრობა რეპრესიულ ღონისძიებებს ხმარობს მშვიდობის მომხრეთა და მოქალაქეობრივ უფლებათა მებრძოლთა მიმართ. 11-დან 22 მარტამდე ანტისაომარი პროტესტის კვირეული ჩაიკლება ლოზუნგით „შეწყვიტეთ ჯარში გაწვევა“. კვირეული დამთავრდება მასობრივი დემონსტრაციებით. გასაწევ პუნქტებთან და სამხედრო-სალიცენზიო ბარაკებს დაუბრკოლებენ ხელისუფლებს. 15 აპრილს, ამერიკელების მიერ გადასახადების გადუმერების დღეს, ახალგაზრდობა მოაწყობს მასობრივ საპროტესტო დემონსტრაციებს ლოზუნგით „შეწყვიტეთ გადასახადების აკრეფა ვიეტნამის ომისთვის“.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 თებერვალი. (საკდესი). დემოკრატიული პარტიის (რომელსაც მეთაურობს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი გ. ჰემფრი) პოლიტიკურმა საბჭომ გამოაქვეყნა რეზოლუცია ვიეტნამის შესახებ. რომელშიც მოითხოვს დაამთავრონ ომი და მთლიანად გამოიყვანონ ამერიკის ჯარები დღეიდან არაუგვიანეს 18 თვისა.

დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური საბჭო აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების მიერ საგონის რეჟიმის მხარდაჭერა, რაც ახლა „ვიეტნამიზაციის“ პროგრამის საფუძველია, ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დაბრკოლებაა ვიეტნამში მშვიდობის მიღწევის გზაზე. დოკუმენტის ავტორები მოითხოვენ, რომ პრეზიდენტმა გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება პარიზის მოლაპარაკებისადმი.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲤᲝᲢᲝᲐᲙᲐᲠᲐᲥᲢᲘᲗ

ᲜᲘᲐᲙᲝᲚᲘ, ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲛᲘᲛᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲘᲠᲙᲚᲗᲐ ᲥᲔᲨᲘ. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲑᲐᲖᲔᲗᲘ „ᲐᲢᲐᲡ“ („ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲔ“) ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲓᲐ ᲪᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗ. ᲐᲛ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲐᲜ ᲡᲐᲙᲛᲐᲠ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲘᲞᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲘᲛᲘᲗ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲡ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲪᲔᲚᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲙᲝᲚᲝᲛᲑᲝᲡ ᲛᲭᲘᲓᲠᲝᲓ ᲓᲐᲡᲐᲡᲚᲔᲑᲣᲚ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ.

ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲣᲗᲛᲝᲑᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ. ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲥᲕᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲢᲘᲡ ᲑᲔᲚᲐᲓᲐᲖᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲘ ᲐᲠᲜᲝᲚᲘᲡ ᲐᲪᲮᲝᲛᲘ ᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲡ ᲒᲐᲖᲗᲘ „ᲐᲢᲐᲡ“ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲜᲝᲛᲘᲠᲘ. (საკდესის ფოტოქრონიკა).



ᲐᲤᲠᲘᲙᲘᲡ ᲬᲧᲝᲜᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲔᲮᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲑᲣᲛᲑᲔᲠᲓᲘᲡᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗᲘ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘᲐ ᲔᲚᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲓᲐᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ, ᲒᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲘᲜᲓᲘᲠᲔᲗᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲩᲐᲣᲗᲐᲛᲑᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲪᲮᲝᲠᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲪᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲐᲚᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ᲡᲐᲓᲘᲞᲚᲝᲛᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲪᲮᲝᲠᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲪᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲔᲜ ᲐᲚᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲠᲐᲖᲔ ᲬᲔᲠᲡ ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲡᲘᲗ

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

10 თებერვალი

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲡ „ᲠᲣᲓᲔ ᲞᲠᲐᲒᲝᲡ“ ᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲓᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ.

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲚᲘᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲠᲑᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲘᲡᲛᲔᲠᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 10 თებერვალი (საკდესი). ნდობა და სულ ეფრო მზარდი პასუხისმგებლობა ფეიერმდებელი კრინკიანია პარტიისა და მთავრობის პოლიტიკისა და ახალგაზრდობის მიმართ, განაცხადა ჰუშინ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა დარბაზობაზე, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალგაზრდობის შესახებ პირველი კანონის გამოქვეყნების 20 წლისთავს.

თავის გამოსვლაში ვ. ულბრიხტმა აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ კანონს ახალგაზრდობის შესახებ, აგრეთვე მთავრობის შემდგომ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია გერმანიის მიწა-წყალზე შექმნილი პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ახალგაზრდა თაობის აღზრდა.

ვ. ულბრიხტმა ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ახალგაზრდობის დიდმნიშვნელოვანი როლი სოციალიზმის განვითარებული სისტემის მშენებლობაში რესპუბლიკის არსებობის 20 წლის მანძილზე.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲘᲐ

ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲕᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 9 თებერვალი. (საკდესი). „გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ იუწყება: დასავლეთ გერმანიის თავდაცვის სამინისტრომ დაადასტურა, რომ მიუნხენის მაქს პლანკის სახელობის ფიზიკაკრიის ინსტიტუტი ამ სამინისტროს დავალებით აკვლევს ადამიანებზე ნერვულ-მაპარალიზებელი მოქმედების მომწამვლელ ნივთიერებათა ზემოქმედებას.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ინსტიტუტს მიერ შესრულებული გამოკვლევანი სამხედრო მიზნით მიუხედავად უნივერსიტეტისა და უმაღლესი ტექნიკური სკოლის სტუდენტთა დიდ შეშფოთებას იწვევს. სტუდენტებმა ქალაქში მოაწყეს „სამხედრო კვლევის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული“.

ᲣᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 9 თებერვალი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებმა გაშალეს ფართო შეტევა ურანის „ნედლეულის საერთაშორისო ბაზაზე. როგორც ღუნს „გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ იუწყება, კომპანიამ „ურან-გეზელშაფტ გმბხ უმდ კო“ შიაფწია იმის, რომ მონაწილეობა მიიღოს აფრიკის ნიგერის რესპუბლიკაში ურანის მდიდარ საბადოთა დამუშავებაში. ამ მიზნით მან შექმნა კონსორციუმი საფრანგეთისა და იტალიის ფირმებთან. „ურან-გეზელშაფტი“ მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ნიგერში ურანის გამამდიდრებელი დანადგარების მშენებლობაში.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲓᲝᲛᲐ

ᲠᲝᲛᲘ, 9 თებერვალი. (საკდესი). იტალიის სოციალური მოძრაობის (ნეოფაშისტური პარტიის) ხელმძღვანი არამზადები ვასული კვირის დამლევს თავს დაესხნენ ხაზოგადოება „იტალიაში კომუნისტური“ განყოფილების შენობას. ახალ პროვოკაციულ გამოხდომასთან დაკავშირებით, კომუნისტ სენატორთა ჯგუფმა სიკარეო სამინისტროსა და შინაგან საქმეთა მინისტრს მიმართა შეკითხვით, რომელშიც გმობს „ეგანდალიზმის ამ ახალ ფაქტს“.

შეკითხვის ავტორები მოითხოვენ, რომ მთავრობის წარმომადგენლებმა გამოაცხადონ, „რა ღონისძიებანი განახორციელეს, რათა დასაწყო დამნაშავეები, და რა ღონისძიებათა განხორციელებას აპირებენ, რათა უზრუნველყონ დემოკრატიული, პოლიტიკური და კულტურული ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობა მილანოსა და მთელ იტალიაში“.

ᲡᲞᲐᲜᲘᲐ

ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲐᲓᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲡᲮᲔᲛᲔᲑᲗᲐᲒᲐᲜ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 9 თებერვალი. (საკდესი). ჩაიფუშა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის ცდები თავისი გადაწყვეტილებანი თავს მოეხვია ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებისათვის ამერიკის სახელმწიფოთა ეკონომიური და სოციალური საბჭოს მე-8 საგანგებო კონფერენციაზე, რომელიც ვენესუელის დედაქალაქში დამთავრდა. ლათინური ამერიკის ქვეყნების დელეგატებმა უარყვეს ამერიკის მთელი რიგი წინადადებანი, კერძოდ, იმის შესახებ, რომ ლათინურ ამერიკაში უცხოეთის კაპიტალური დაბანდებანი ჩითვალოს „კონსტრუქციულ წვლილად“ კონტინენტის ქვეყნების განვითარებაში. დელეგატებმა აღშფოთებით განაცხადეს: ეს არის მტაცებება, რომ ასეთი კაპიტალური დაბანდებანი ემსახურება „ეროვნულ მიზნებს“, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

გარდა ამისა, ლათინური ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლებმა ამერიკის შეერთებული შტატები აიძულეს მიეღო მათი რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი მოთხოვნა. ამას კერძოდ აღიარებს კიდეც ბაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ხუან დე ონისი, რომელიც კარაკასიდან წერს, რომ ამერიკელმა წარმომადგენლებმა კონფერენციაზე ვალდებულება აკისრეს არ შემოიღონ ახალი შეზღუდვები ლათინური ამერიკიდან მიღებულ საქონელზე და მიიღონ თავიანთი სამხრეთელი მეზობლების წინადადებანი არსებული ტარიფების შემცირების შესახებ, აგრეთვე მოსპონ სხვა ბარიერები იმ საქონლისათვის, რომელიც ლათინური ამერიკიდან ჩამოვა. ამასთან ერთად, ამერიკელებმა ბოლოს ეს ბოლოს ეს ბოლოს ეს

ფოტოტიუდი
გ. დათიკაშვილისა და
გ. კიკვაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ბოტანიკურ ბაღში გაზაფხულია

სოხუმი, 9 თებერვალი. (საქდესი). „ტენიანი სუბტროპიკების გულს“ უწოდებენ სოხუმს. როგორც ხანგრძლივი დაკვირვებები ცხადყოფენ, აქ სამუალო წლიური ტემპერატურა პლუს 14-15 გრადუსზე ქვევით არ ეშვება. ახლაც, თუმცა თებერვალი დაწყო, მაგრამ გაზაფხული სუფევს გარშემო.

— სოხუმის ბოტანიკურ ბაღში დაიწყო მცენარეთა აყვავება, — თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ინტროდუქციის განყოფილების გამგემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ვ. ვასილიევმა, — მთავარ ხეივანში ორმეტრიანი ფოთლები გადაუშლია ბანანს. მართალია, ბანანის ეს სახეობა ჩვენში მხოლოდ დეკორაციული მიზნითაა, მისი ნაყოფი არ იჭმევა. ბანანის ის ხეები, რომლებიც საჭმელ ნაყოფს ისხამენ, და რომელთა სამშობლო იაპონია, ჩვენში ორანჟერეებში ხარობს.

ჯერ კიდევ ფოთლების გამოღებამდე აყვავილდა მაგნოლია. დამთვალიერებელთა თვალწინ იშლება უაღრესად ლამაზი სურათი — თითოეულ ტოტზე მოსჩანს ყვავილის გვირგვინის ბაცი ყვითელი ფურცლები.

ვენსკურსანტების ყურადღებას იპყრობს აყვავებული ჩინური არდავანი. ნავისებრი ყვავილები განლაგებულია არა მარტო ერთწლიანი ტოტების ბოლოებში, არამედ მის უფრო ძველ ტოტებზე, მათ შორის ტანზეც. ეს მოვლენა — კაულიფლორია — ტროპიკული ტყის დამახასიათებელი ნიშანია. სხვა ბოტანიკურ ბაღებში სუბტროპიკების გარდა იგი არსად არ გვხვდება.

ლამაზად ყვავის კომში. იგი გამოირჩევა ფერადოვანი ყვავილებით. აყვავებულია იაპონური კამელია. მისი წითელი, თეთრი და ალისფერი ყვავილები მკვეთრად ჯამოირჩევა ფოთლების მუქმწვანე ფონზე.

მცენარეთა ასეთი ადრეული აყვავება, როგორც ჩანს, დაკავშირებულია მიმდინარე წელს სანაპირზე ბუნებრივი და კლიმატური პირობების განსაკუთრებით ხელსაყრელ შეხამებასთან.

გაზაფხულის მაცხარობლები...

ეს ფოტო ბევრ საოცრებას შეხვდებით ბუნებაში. საქართველოს ზოგიერთ რაიონში აყვავდა კამელია, გაზაფხულის სუნი დატრიალდა ჰაერში. ბაკურიანი კი ისევ თეთრ საბურველშია გახვეული. საითაც გაიხედავთ, უველგან მოთხილამურეებს დაინახავთ. აი ეს ახალგაზრდები (სურათზე მარცხნივ) გაბედულად მიდიან სლალომის დისტანციაზე. ბაკურიანის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ცხენიან მარხილს (სურათზე მარჯვნივ).

ფოტო გ. დათიკაშვილისა.

გ. თვალთვაძე

ქართველ გეოფიზიკოსთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა. მის რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა დიდამოწინაგულებისა და ქერქის ფიზიკის აღიარებული მკვლევარი, სამაგალითო მოქალაქე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ბერი კალისტრატეს-ძე თვალთვაძე. იგი ოცდაათიანი წლებიდან ქართული გეოფიზიკური მეცნიერების აღმავლობას ჩაუდგა სათავეში და ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს ათეული წლების მანძილზე თავდადებით ემსახურებოდა.

გ. თვალთვაძე დაიბადა 1907 წლის 25 ოქტომბერს დაბა წალენჯიხაში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1925 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, მუშაობა დაიწყო კარსანის მაგნეტურ ობსერვატორიაში, ხოლო შემდეგ სეისმოლოგიის დარგში ნანაგრო მუშაობა. 1934 წელს გ. თვალთვაძე ამთავრებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურას ლენინგრადში, იმავე წელს მუშობას იწყებს ახლად დაარსებულ თბილისის გეოფიზიკის ინსტიტუტში, ხელმძღვანელობს მის მიერვე ჩამოყალიბებულ სეისმომეტრიის ლაბორატორიას. ამ საქმეს იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა.

ამიერკავკასიაში დედამიწის ქერქის აგებულებისა და ფიზიკური თვისებების შესწავლის მიზნით მოწყობილმა მრავალმა სამეცნიერო ექსპედიციამ პროფესორ გ. თვალთვაძეს დამსახურებულად მოუპოვა მეცნიერული ავტორიტეტი და აღიარება როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ სპეციალისტებს შორის. გ. თვალთვაძემ დაწერა 60-ზე მეტი [illegible] ნაშრომი, მათ შორის — ფუნდამენტური მონოგრაფია, გარდა ამისა, უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო. მისი კვლევის შედეგები სისტემატურად მოხსენდებოდა ხოლმე საბჭოთა კავშირსა და უცხოეთში გამართულ სამეცნიერო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს. მათ შორის აღსანიშნავია საერთაშორისო გეოდეზიური და გეოფიზიკური კავშირის ასამლეა ტორონტოში (კანადა, 1957 წ.), ჰელსინკში (1960 წ.), საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესი კოპენჰაგენში (1960 წ.), საერთაშორისო გეოლოგიური კოლოკვიუმი თბილისში (1965 წ.), ნაწილი ამ მოხსენებებისა გამოქვეყნდა ასამბლეისა და კონგრესის შრომებში; ამ თემებმა გამოძახილი ჰპოვა გამოჩენილ უცხოელ მეცნიერთა მონოგრაფიულ გამოკვლევებში.

გ. თვალთვაძე მრავალი რესპუბლიკური, აგრეთვე საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების და უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოების წევრი იყო. 1960 წლიდან იგი ითვლებოდა ევროპის სეისმოლოგთა საერთაშორისო კავშირის საბჭოს წევრად.

თვალსაჩინო სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის პროფესორი გ. თვალთვაძე საბჭოთა მთავრობამ დაჯილდოვა ლენინის ორდენითა და მედლებით. გური თვალთვაძე იყო მაღალი ადამიანური თვისებებით შემკული პიროვნება, უანგარო მეგობარი, რომლის მთელი ცხოვრება შესანიშნავი საბჭოთა მოქალაქისა და მეცნიერის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სსრ ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ლამაზლეა

მზა კაბინები მუენებლობაზე

ყუთაისი. (საკ. კორ.). საახლმშენებელი კომბინატის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს სამშენებლო სამუშაოთა და პროდუქციის გამოშვების კომბინატის დირექტორს რ. ბეჟუაშვილისა და წარმოების უფროსის ს. ჩარგეიშვილის ინიციატივით დაინერგა პირველად ხორცელდება ჩვენს რესპუბლიკაში.

ახლა კომბინატი სერიულად უშვებს მზა სანტექნიკურ კაბინებს.

ყოველთვიურ გეგმებს. ახალი წლიდან კომბინატმა დაიწყო ყოველთვიურ გამზადებული სანტექნიკური კაბინების გამოშვება.

მზა სანტექნიკური კაბინები ამ დღეებში პირველად დადგეს ავტოქარხნის ქუჩაზე მშენებარე 9 სართულიან სახლში.

ეს სიახლე, რომელიც

სამედიცინო თემაზე

გრიპი ყოველთვის საფრთხილოა

ბლემებმრში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გრიპის ეპიდემია გაჩნდა. საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ეპიდემიის ტალღამ არც ჩვენს ქვეყანას აუარა გვერდი. ეს საფრთხე არ უნდა გავაზვიადოთ, მაგრამ მისი შეუფასებლობაც არაფც და არამც არ შეიძლება. გრიპი ვერაგი და ცვალებადია. ყველას და ყოველთვის იოლად როდი ეკიდება.

ბევრს კი გრიპი უმნიშვნელო დაავადებად მიიჩნია და ცდილობს ინფექცია ფეხზე გადაიტანოს — ასეც გამოვლინო. მაგრამ, ხშირად ოჯახად როდი გაიელის ხოლმე. ვინ არ იცის, რომ გრიპით დაავადებულს უსუსტდება ორგანიზმის წინააღმდეგობა სხვა ავადმყოფობისადმი. ხშირად თვითონ გრიპიც თავის შემდეგ ტოვებს ხერიოზულ გართულებებს — კერძოდ, ზრდის გულსისხლძარღვთა ავადმყოფობით დაავადებულთა რიგებს. ხელი აკიდოთ მაგნე „გმირობაზე“ — ამისკენ მოგვიწოდებს გონება და გამოცდილება. საკუთარი ჯანმრთელობისა და კოლექტივის კეთილდღეობისათვის გრიპი (განსაკუთრებით მისი მწვავე პერიოდი) ლოგინში უნდა გადავიტანოთ, ყველა ღონისძიებით და შეგნებულად შევხდუდოთ კონტაქტების რიცხვი.

ამ ინფექციასთან ბრძოლას ართულებს, როგორც ცნობილია, ვირუსის არაერთგვაროვნობა და ცვალებადობა, მისი პერიოდულად გადასვლა ახალ ვარიანტებად. ავადმყოფობის გამომწვევთა ნაირსახეობიდან ამჟამად ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ა და ბ ვირუსებს. სამწუხაროდ, ადამიანი, რომელმაც გადაიტანა, ვთქვათ, ა ვირუსით გამოწვეული გრიპი, ყოველთვის როდია დაზღვეული, რომ ბ ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობა არ გადაეიდება, და პირიქით. სწორედ ამიტომ დროგამოშვებით ქვეყნებსა და კონტინენტებში თითქმის შეუფერხებლად დაადიჯეს ზოგან მცირე, ზოგან კი დიდი ეპიდემიები. ისინი ედებიან ადამიანებს, რომელთა იმუნიტეტი მოცემული მომენტისათვის უკვე არასაკმარი აღმოჩნდა, რომ ჩაახშოს აგრესიულ უსიცოცხლეთა შემოტევა. გრიპიმზუდ დაავადებათა შედარებით ხშირი გამეორების მეორე მიზეზია თვით იმუნიტეტის არახანგრძლივობა.

მაინც შეიძლებს თუ ეს ასე გავლენა მეოვაჯდინოთ გრიპის ტალღებზე? შეიძლება! თუმცაღა, ბარკვეულ ფარგლებში. ეპიდემიის საწინააღმდეგო და სანტარულ-ეიგიენურ ღონისძიებათა დროულად და საკმაოდ მასობრივად განხორციელებას პროფილაქტიკის სპეციფიკურ საშუალებებთან ერთად შეუძლია არსებითად შეამციროს ეპიდემიის გაქანება, შეასუსტოს ავადმყოფობის მიმდინარეობის სიმძიმე, შეამციროს გართულებათა რიცხვი.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითეული ადამიანი, რომელიც გრიპით გახდება ავად, თვითონ ძალიან მაღე ხდება ინფექციის გამავრცელებელი და, მაშასადამე, გარშემო მყოფთათვის საშიში. სწორედ ამიტომ დიდად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მალე გამოვიენოთ ყველა ავადმყოფი და მოშახლინოთ მათი იზოლირება. ეს საზოგადოებრივი ამოცანაა. დიაგნოზს, რა თქმა უნდა, ექიმი სვამს, მაგრამ ერთი პირობით: რომ მას დროზე მიმართეს. უნდა მიმართოთ! განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს გრიპით დაავადებულთა დროულად გამორკვევას. ავად გამხდარ ბავშვთა მეოთხე მასიდან — სკოლებში, სბაბავშვო ბაღებში, ბაგებში, საცხოვრებელ მასივებში, ექიმებისათვის ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლიათ. მასწავლებლებს, მშობლებს და ფართო საზოგადოებრიობას. თუ ბავშვი თავს ცუდად ბრძნობს, თავის ტკივილს უჩივის, ცუდად ჭამს, არ შეიძლება, მე ვიტყოდი, დანაშაულია, ბავზამნოთ იგი ექიმთან, ბავშვთა რუმელიც განბაკთ კოლეტივში, განსაკუთრებით გრიპის გაჩენის პერიოდში. პირველივე ეჭვისას (სწორედ ეჭვის დროს და არა მაშინ, როცა დარწმუნდებით), რომ გრიპი იწყება, ბავშვი მაშინვე იზოლირებულ უნდა იქნას. ბავშვებს განსაკუთრებით ადვილად ედებათ და ძმიმედ გადაკვეთ ეს ინფექცია.

ავადმყოფ და ჯანსაღ ბავშვთა მშობლები გრიპის გაჩენის პერიოდში მუდამ უნდა ზრუნავდნენ, რომ შეწყვიტონ ზედმეტი კონტაქტები.

გრიპის თავიდან აცილებას ხელს უწყობს ზოგიერთი დამცავი ღონისძიების შესრულება. ცხვირს გაკეთმნიეს, გახველებს, თუნდაც შინ, — ცხვირსახოცით დაიფარე ცხვირი და პირი. ავადმყოფს რომ უელი, გულდასმით დაიცავი წესები: ყოველთვის დაიბანე ხელები, აბარე დოლბანდის ნიღაბი, გააუვნებელე ჭურჭელი, რაც შეიძლება ხშირად გაანიავე ბინა. მზის სხივები, ზამთრის მზისაც კი, და უნაკლო სისუფთავე ჩვენი უსილავი მტრების — ვირუსების მტრები არიან. საწარმოებშიც, ადამიანთა თავშეყრის ადგილებშიც უნდა მოვაწყოთ ხშირი და ინტენსიური განიავება. არის სავენტილაციო მოწყობილობანი? — ჩართეთ ისინი. თუ არ არის ისინი, ხომ არის სარკმლები, ფანჯრები და კარები. რა გიშლიან ხელს გამოიყენოთ ისინი მუშაობის დაწყების წინ, სასადილო შესვენების დროს, ცელის დამთავრების შემდეგ!

პროფილაქტიკის ერთ-ერთი საშუალება, რომელმაც მოქალაქეობის უფლება მოიპოვა, ეს არის კოლექტივების იმუნიზაცია ცოცხალი შესუსტებული ვაქცინით. მარტო ეს ღონისძიებაც კი დაავადებას ორჯერ და მეტად ამცირებს, ხოლო სხვა დამცავ ღონისძიებებთან კომპლექსში — კიდევ უფრო მეტად. გარდა ამისა, აცრილები გრიპს უფრო იოლად იტანენ, გართულებები უფრო იშვიათად წარმოიშობა. გრიპის საწინააღმდეგო მრატს ან განსაკუთრებულ გამაგლობულინს (პრეპარატი, რომელიც დამზადებულია იმ ადამიანთა სისხლედან, ვინც უკვე გადაიტანა გრიპი) ექიმის დანიშნულებით უკეთებენ.

გრიპის გაჩენისას იზრდება სანიტარული აქტივის, დაზღვევის დელეგატების პასუხისმგებლობა. მათი ვალია თვალყური ადევნონ იმას, რომ ავად გამხდარნი არ მუშაობდნენ, არამედ მკურნალობის კურსი გაიარონ შინ, რომ სისტემატურად ხორციელდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილი სანიტარულ-ეიგიენური ღონისძიებანი.

ალბათ არც ერთი სხვა ავადმყოფობის დროს ისე დიდი არ არის თვითმკურნალობისადმი მისწრაფება, როგორც გრიპის დროს. გრიპი რომ იჩენს თავს, თვითმარქვია „ექიმების“ რიცხვი სწრაფად დიდდება. მკურნალობის ყოველგვარი შინაური „მეთოდების“ მაგნებლობა კი ძალიან დიდია. პირველი მისი მაჩვენებელია გართულებათა რიცხვის შემდგომი ზრდა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ საჯუშარი. ინიციატივით ანტიბიოტიკებს ბამოყენებმა ყოველთვის მავნეა.

მედიცინის მეცნიერება განაგრძობს გრიპის მკურნალობისა და პროფილაქტიკის ქმედითი საშუალებების ინტენსიურ ძიებას. ნაპოვნია ახალი საშუალებანი (ინტერფერონი, ამანტადინი), რომლებიც ამჟამად კლინიკურ გამოცდას გადიან. ირკვევა ამ საშუალებათა მოქმედების მექანიზმი. სრულყოფილი ხდება გრიპის არსებული ვაქცინა.

გრიპთან ბრძოლა ინელი საქმეა. ეს მაგნე ინფექცია რიდი გვაფრთხილებს თავისი მოსვლის შესახებ. მით უფრო საჭიროა დრო მოვიგოთ, რომ მოვასწროთ ყველა მისაწვდომ დამცავ საშუალებათა გამოყენება და ამით ჩვენი წვლილი შევიტანოთ გრიპის ჯაზზე დამატებითი დანცავი რაბების მშენებლობაში.

პროფესორი
მ. სოკოლოვი.
(სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი).

128 უძლიერესი

11 თებერვალს კურგანში იწყება სსრ კავშირის XX პირადი ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. 128 უძლიერესი ჩოგბურთელი ერთ კვირის განმავლობაში იბრძოლებს საუკეთესოს წოდებისათვის. პირველ ეტაპზე შეჯიბრება გაიმართება ქვეჯგუფებში წრიული სისტემით. მეორე ეტაპზე — უძლიერესნი გაიოთმაშებენ ჩემპიონთა წოდებას ფგრეფუნდებული გაუსაკობესებული ოლიმპიური სისტემით.

მაგიდის ჩოგბურთელთა ეს დიდი შეკრება ერთ-ერთი უკანასკნელი შემოწმებაა ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც აპრილში დაიწყება და პირველად მოეწყობა მოსკოვში.

ქალთა შორის პირველი ადგილის მაძიებელთა წრე არც ისე ვრცელია. ეწინააღეს ყოველისა ესენი არიან მსოფლიო ჩემპიონები გუნდურ და წყვილთა შეჯიბრებაში მოსკოველები ზოია რუდნოვა და სვეტლანა გრინბერგი და სსრ კავშირის ახლანდელი ჩემპიონი ბაქოელი რიტა პოღოსოვა. სსრ კავშირის ქალთა ნაკრები გუნდის ძირითადი შემადგენლობის ამ სამ სპორტსმენს, როგორც ჩანს, კონკურენციას გაუწევენ მოსკოველები ბელა ანისიმოვა, ლუბოვ გრიშინა, ლაიმა ამელინა, ოდესელი სპორტსმენი ვალინა ერემეევა, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ევდოკია გოლუბკოვა და კაუნასელი სპორტსმენი ასტა გედრაიტიტე.

ბევრად მრავალრიცხოვანია პირველი ადგილის პრეტენდენტთა რაზმი ვაჟთა შორის. აქ უნდა დავასახელოთ სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოველი სტუდენტი სტანისლავ გომოზკოვი, სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი მოსკოველი ანატოლი ამელინი, გენადი ავერინი, დავით ბროდსკი და ბათუმელი სარქის სარუხანიანი. როგორ უელდის ეგლიტესს, ერეკვნელ გელამ ვარდანიანს, ომსკელ გიორგი სტრელნიკოვსა და ლვოველ ბორის ხოლოდოვსკის — თავიანთი შედეგებით არაერთხელ გაუცხადებიათ პრეტენზიები საპრიზო ადგილებზე ქვეყნის პირველობაში.

15 თებერვალს მოგებათა ტირაჟი

პერმში 15 თებერვალს გაიმართება 1966 წლის სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მორიგი — 29-ე ტირაჟი.

ტირაჟში ერთ თანრიგზე გათამაშდება 512.560 მანეთის 9.400 მოგება. მათ შორის არის 5.000, 2.500, 1.000, 500, 100 და 40 მანეთის მოგება.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში საკადრის კორესპონდენტს აცნობეს, რომ 1970 წელს გაიმართება სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა კადრ 23 შვიდი ტირაჟი: 20 მარტს — ბაკოში, 15 მაისს — დონის როსტოვში, 30 ივნისს — რიგაში, 15 აგვისტოს — ალმა-ატაში, 30 სექტემბერს — ლენინგრადში, 15 ნოემბერს — ოდესაში და 30 დეკემბერს — მოსკოვში.

ჭადრაკის ამბები

ათი გროსმაისტერი, მათ შორის ოთხი საბჭოთა კავშირიდან, მონაწილეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელიც უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში დაიწყო. ეს ტურნირი ეძღვნება ფაშისტ დამპყრობთაგან ბუდაპეშტის განთავისუფლების 25 წლისთავს. საბჭოთა კავშირიდან ამ ტურნირზე ჩამოდიან იეფიმ ბელიავსკი, პაულ კერესი, ალექსეი სუეტინი და რატმირ ხოლმოვი, იეგოსლავიიდან — ბორისლავ ივკოვი, რუმინეთიდან — ფლორინ გეორგიუ, უნგრეთიდან — ლაიოშ პორტიში, ესტონეთ ს